ცნობის ფურცელი

№ 1868 სამშაბათი, 15 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1868

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვების და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-
ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდ-ე მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე
იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.
ბინა: გომმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.
წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ქ. გორში,
ექიმი კონსტანტინე ლაზარის ძე
ტურიაშვილი,
საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ახალი წიგნი
შ. არაგვისპირელი
წიგნი მეორე
ფასი 40 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

ბებია
ვ. მ. ლიმონი
ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—22)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. კონგრეგაციების სკოლების დაკეტვის გამო ბევრგან დემონსტრაცია გამართეს სამინისტროს წინააღმდეგ. პლოერმელში 600 სული ჩაიკეტა კონგრეგაციის სკოლაში და ღამის 9 საათამდე იქ დარჩნენ. მერე ერთად გასწიეს სუბპრეფექტურისაკენ და მოახდინეს მანიფესტაცია. რენში შესდგა მიტინგი პროტესტის გამოსაცხადებლად; პრეფექტს გარდასცეს რეზოლიუციის ტექსტი, რომელიც მთავრობას იწვევს „რესპუბლიკის პრინციპების სახელით გაუქმებულ იქმნენ თავისუფალ სკოლების წინააღმდეგ მიმართული ზომები“. რამდენსამე სოფელში ხალხმა რკინის გზის სადგურამდე გააცილა მონოზვნები, რომელნიც მთავრობის განკარგულებით დახურულ სკოლებში ასწავლიდნენ. ლიონში მონოზვნებმა გამოაცხადეს, სკოლიდან არ გავალთ, რადგან მათი დახურვა უბრალო ცირკულიარის ძალით არ შეიძლება; ჩვენ დაუცდით შესაფერს დეკრეტის გამოცემასო. „მატენი“ ამბობს, ტყუილია გაზეთებში გავრცელებული ხმა, ვითომ მთავრობას განკარგულება მოეხდინოს საავადმყოფოების, თავშესაფარების და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათა დაკეტვისა, რომელნიც უკანონო კონგრეგაციების ხელში იმყოფებაო. პირ-იქით, მთავრობამ დაავალა, რომ ადმინისტრაცია, სკოლების დაკეტვის დროს, არ შეეხოს ისეთ დაწესებულებას, რომელსაც ორგვარი ხასიათი აქვთ, სკოლის და თავშესაფარისაო.

ავსტრო უნგრეთი. სექტემბერში უნდა მოხდეს დიდი აღლუმი ავსტრიის ფლოტისა. დაწვრილებით ცნობებს საიდუმლოდ ინახავენ. არც ერთი უცხოელ სახელმწიფოს საზღვაო წარმომადგენელი აღლუმზე არ იქნება მიწვეული. ეს ზომა კერძოდ იტალიის წარმომადგენლის წინააღმდეგ არის მიმართული, რომლის დასწრება აღლუმზე მოუხერხებელია, რადგან ამ აღლუმებს საგნად აქვს შეიმუშაონ ავსტრიის ესკადრის მოქმედების პლანი, თუ ვინიცობაა იტალიასთან შეტაკება მოხდა. გაზეთებში უკვე დაიწყეს ამის შესახებ ლაპარაკი და ამბობენ, რომ აღლუმის ასეთი საგანი ვერაფრად ჰხატავს ამ ორ მოკავშირეთა გრძნობასო.

გერმანია. ერთ გერმანელ ჟურნალში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია პოლონეთის დასახლება გერმანელებით. ცნობები შეეხება 1901 წელს. პოზნანის დიდ საჰერცოგოში პოლონელებს უყიდნიათ გერმანელებისაგან 12 მამული. ერთი მამული 749 დესეტინაა სივრცით, მეორე ამოდენავეა და 60 წელიწადია თურმე, რაც გერმანელების ხელში ყოფილა. დასავლეთ პრუსიაში პოლონელებს შეუძენიათ 3 დიდი და 30-მდე წვრილი მამული. გერმანელებს-კი დასავლეთ პრუსიაში ერთი დიდი მამული შეუძენიათ, 306 დესეტინა, და პოზნანში 8 პატარა ნაჭერი.

ესპანია. საგასტას სამინისტროს სისუსტის ბრალია, რომ ესპანიაში კვლავ თავი წამოჰყვეს კლერიკალებმა. სანტ-იაგოში მოხდა კათოლიკეების კონგრესი, რომლის პროგრამა მეტის-მეტ საომარ კილოზეა შედგენილი. იგი ითხოვს ყველა ესპანიელთაგან შეერთებას, რათა აღდგენილ იქმნას სასუფეველი ღვთისა დედა მიწაზე და პაპს დაუბრუნდეს საერო უფლებანი. პროგრამა ამტკიცებს, რომ მხოლოდ სასულიერო წოდებას აქვს უფლება ყმაწვილების აღზრდისაო და ითხოვს კონგრეგაციების გამრავლებას. რამდენადაც თავ-წასულია კლერიკალთა მოქმედება, იმდენად სამინისტრო უთმობს მას ყოველ ნაბიჯს.

კანადა. მონრეალიდან იწერებიან, რომ კანადას ფრანგებს დიდი მიტინგი ჰქონდათ; მიუღიათ რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს ბრიტანიის იმპერიალიზმს, რადგან იგი კანადას თვით-მართველობისა და დამოუკიდებლობისათვის საშიშიაო. გამოაცხადეს აგრეთვე პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ კანადელი ჯარები უცხო ქვეყანაში გაგზავნეს და კანადას ფული ინგლისისთვის ქვეყნების დაპყრობას მოანდომეს. ეს რეზოლიუცია მიტინგმა გაუგზავნა კანადას სხვა ქალაქებს, სადაც ფრანგები ცხოვრობენ, მიტინგები გამართეთ და პროტესტი გამოაცხადეთ ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგო.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 15 ივლისს, ალექსანდრე ნეველის ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი სოხუმში გარდაცვალებულ კავკასიის სა-

ფელეტონი

წერილი ინგლისიდან

ბრიტანიის და ტრანსკაალის კანონები და კონსტიტუცია ედვარდ ბ. როზისა

როდესაც ინგლისი სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებს ებრძოდა, ჯინგოებს ერთი ფრიად უსამართლო და ყველასათვის აშკარა სიცრუეზედ დამყარებული ომის გასამართლებელი არგუმენტი მოჰყავდათ: ბურთა მთავრობის ორგანიზაცია ოლიგარხიულია და ბრიტანიის კონსტიტუციის პრინციპთა შემოღება მათთვის მეტის თავისუფლების მინიჭებას მოასწავებსო. ჯერ ერთი,—ვის რა საქმე ჰქონდა იმასთან, ბურებს როგორი პოლიტიკური ორგანიზაცია ჰქონდათ! თუ რამე ნაკლი ჰქონდა ამ ორგანიზაციას, თვით ბურები შეასწორებდნენ, და ამისათვის საჭირო არ იყო კიტჩენერისაგან მოგონილი ბანაკები ბავშვებისა და დედა-კაცებისათვის. მეორე—სრული სიცრუეა, ვითომ ბურების პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც დემოკრატიულ-რესპუბლიკანურ პრინციპებზედ იყო დამყარებული, ყოფილიყო რაღაც ოლიგარხიის წარმომადგენელი და ნაკლებ თავისუფლების მიმნიჭებელი, ვიდრე ინგლისის კონსტიტუციონური მონარქია. ეს კარგად ესმის, რასაკვირველია, ცნობილ ფილოსოფოსებს ჰერბერტ სპენსერს. როგორც ამბობს ბ-ნი ედვარდ როზი, იმან ამ უკანასკნელ საყოველთაო არჩევნების დროს მისწერა ლეონარდ კორტნეის, რომ საჭირო იქმნებოდა შეედარებინათ კონსტიტუციები ტრანსვაალისა და ინგლისისა 1832 წლის, მაგრამ რა საჭიროა შეადარონ ტრანსვაალის კონსტიტუცია ინგლისის 1832 წლის კონსტიტუციას. უმჯობესი იქმნება შეადარონ „ყოფილ“ ტრანსვაალის კონსტიტუცია და „დღევანდელ“ ინგლისისასაო. ამასთან ავტორს მოჰყავს ორისავე კონსტიტუციის მუხლები. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ ქართველ მკითხველს ეს მუხლები, რომლის გამოქვეყნებასაც, სპენსერის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსვაალის საქმის გამო საზოგადო აზრის შედგენის დროს.

ავტორს სრულიადაც არ უნდა დაამციროს, რომ ინგლისის ხალხს „ბუნებრივი მისწრაფება აქვს თავისუფლებისადმი“. ინგლისელი იმას „ბუნებრივად“. თავისუფლების მოტრფიალე კაცად მიაჩნია, მაგრამ ამ მისწრაფებაში ინგლისელს არც ბური ჩამოუვარდება. გარდა ამისა, როგორცა ვსთქვით, ავტორს აზრადა აქვს, ინგლისის ხალხს გააცნოს ტრანსვაალის კონსტიტუცია, რომელსაც ინგლისმა ანგარიში უნდა გაუწიოს, როცა იძულებული იქნება ბურების ცხოვრება ასე თუ ისე შეუფარდოს ინგლისის მფლობელობას. აი ეს შედარება.

1. **ამომრჩევლობითი უფლება.**

ინგლისი.	ტრანსვაალი.
შეზღუდული ამომრჩევლობითი უფლება მოპოვებულია მხოლოდ 50 წლის აგიტაციის შემდეგ. 1899 წელს ინგლისში იყო მამა-კაცთა რიცხვი (21 წელზე მეტი) 11,985,900. აქედან მხოლოდ 6,161,487-ს ჰქონდა ხმის უფლება, დანარჩენ 5,824,413-ს კი არავითარი ამომრჩევლობითი უფლება არა ჰქონია.	სრული ამომრჩევლობითი უფლება. ყოველ 21 წლის ბურს აქვს სრული ამომრჩევლობითი უფლება 21 წლის შესრულებით ipso facto; საზოგადოდ-კი რამოდენიმედ უფლებანი ენიჭება ყოველ მამა კაცს, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი.

2. **ამომრჩევლობითი უფლებანი უცხოელთა.**

ინგლისი.	ტრანსვაალი.
ამ უფლების მისაღებად საჭიროა. 5 წლის ცხოვრება ბრიტანიაში, ან მის სამფლობელოში. ქვეშევრდომის მიღების მოწმობა ხარჯით, რომელიც უდრის 5 გირ.სტ—ს. მორჩილებისა და ერთგულების ფიცი. მაგრამ ქვეშევრდომობის მიღება და ამომრჩევლობით უფლებათა მოპოვება სრულიადაა დამოკიდებული მთავრობის სურვილზე. „მას უფლება აქვს სრული უარი უთხრას უცხოელს ნატურალიზაციაზე, და ამ გადაწყვეტილების არავითარი განსაჩივრება არ შეიძლება“, ამბობს Naturalisatiou Act of 1870. და თვით ნატურალიზაციასაც ipso facto არავითარ პოლიტიკურ უფლებათა მინიჭება არ შეუძლიან.	ამ უფლების მისაღებად საჭიროა: შვიდი წლის ცხოვრება რესპუბლიკაში; ნატურალიზაცია ხარჯით, რომელიც უდრის 2 გირ. სტერლინგს. ერდგულების ფიცი. ყოველივე უცხოელი ორი წლის ცხოვრების შემდეგ ჩარიცხულია ნატურალიზაციის ქალალდებში; ეს ქალალდები მას ხმის უფლებას აძლევენ მეორე ფოლკსრაადში წევრთა არჩევნების დროს, ან სახელმწიფოს რამდენისამე ოფიციალურ პირთა ამორჩევის დროს. 7 წლის ცხოვრება საჭიროა მხოლოდ სრულ საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად; ამასთანავე ორი წელიწადი ნატურალიზაციისათვის ითვლება. გარდა ამისა არავითარ ოფიციალურ ძალას, როგორც ინგლისის Home secretarg-ს არ შეუძლიან უარი განუცხადოს რომელსამე უცხოელს, თუ ამ უცხოელმა მოინდომა რესპუბლიკის ქვეშევრდომობის მიღება.

3. **ცერეძ წოდებულ** Voting Qualifications.

ინგლისი.	ტრანსვაალი.
სრულ ხმისა და თა-	რაკი ბური სრული

მოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფის კ. პ. იანოვსკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ საშუალო სასწავლებლების უფროსნი, მასწავლებელნი, აღმზრდელნი და სხვანი. ამავე დღეს პანაშვიდი გარდაიხადეს ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში.

✦ შაბათს, 13 ივლისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში **მოხდა დამატებითი საჯარო ვაჭრობა** იმ მამულების გასასყიდად, რომელიც ვერ გაიყიდა წინანდელ ვაჭრობის დროს. გასასყიდად დანიშნული იყო 14 მამული. აქედან 6 მამულის პატრონმა უკვე შეიტანა დარჩენილი გადასახადი; გაიყიდა 7 მამული და ერთი მამული ბანკის საკუთრებად დარჩა. გაყიდულ 7 მამულზე ბანკის თავნი ვალი იყო 17,729 მ. 73 კ. შესატანი გარდასახადი იყო 741 მ. 41 კაპ. ხოლო გაიყიდა სულ 21,434 მან. იმ მამულზე, რომელიც ბანკს დარჩა, თავნი ვალი იყო 15,418 მან. 92 კაპ., ხოლო შესატანი გარდასახადი 3449 მან. 66 კაპ. გაყიდულ მამულებიდან 3 ტფილისელისა იყო, ხოლო 5 სოფლელისა.

✦ ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ჯანდიერმა გუშინ, 15 ივლისს, შეატყობინა გუბერნატორს, რომ ორის უკანასკნელი წლის **მოუსავლიობამ** ტფილისის მაზრის მცხოვრებნი იმდენად დააზარალა, რომ წლევანდელი კარგი მოსავალიც-კი ბევრს ვერაფერს უშველისთ. მოუსავლობის დროს ხალხმა სულ დახარჯა, რაც ბეღლებში შენახული ხორბალი ჰქონდა. წელს კარგი მოსავალია და მკასაც მალე გაათავებენო. გაზაფხულზე, თუმცა ალაგ-ალაგ სოფლებში მინდვრის თაგვი გაჩნდა, მაგრამ მალე ზომები იქმნა მიღებული მათთან საბრძოლველად, ასე რომ თაგვმა ზარალი ნათესობას ვერავითარი ვერ მოუტანაო.

✦ წელს, 31 მაისს, მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა და ეს დადგენილება დამტკიცებულ იქმნა უმაღლესად, რომ დაწესდეს გენერალ-მაიორის თ. გიორგი ჯამბაკურ-ორბელიანის ყოველ-გვარ ქონებისათვის სამზრუნველო მმართველობა, რომელიც უნდა იყოს ს.-პეტერბურგის სათავად-აზნაურო სამზრუნველოს გამგებლობაში. ამას იქით თ. ორბელიანს აღარა აქვს ნება განაგოს თავის მამულების საქმე, გაჰყიდოს ან დააგიროს თავისი მამულები, ან ვალი აიღოს. ეს ამბავი ამ დღეებში ეცნობა სენატის მიერ ტფილისის ოლქის სასამართლოს და მისს ნოტარიატს. („ივერია“).

✦ ტფილისის გუბერნატორის ცირკულიარის თანახმად, ტფილისის ნაწილის ბოქაული ბ-ნი ელ. გუგუშვილი ჯერ კიდევ წარსულ წელს შესდგომია საბოქაულოს **სასოფლო გამგეობებისა და სხვა დაწესებულებათათვის ახალი შენობების აგების** ცდას. გუგუშვილს მოუვლია მთელი საბოქაულო და ყრილობებზედ მოულაპარაკნია საზოგადოებებთან, რის გამოც ათს საზოგადოების მცხოვრებთ საზოგადო კრებაზედ გადაუწყვეტიათ გადასდვან ამ საქმისათვის საჭირო ფული. ახალის გეგმით აღნიშნულ შენობებში, სოფლის სასამართლოსა და მამასახლისის კანცელარიის გარდა, უნდა იქმნას განყოფილებანი სოფლის პურის საწყობებისა, შემნახველ-გამსესხებელ კასებისა, პატარა სასოფლო აფთიაქისა და სხვისათვის. ამავე შენობაში რამდენიმე ოთახი მოწყობილი იქმნება მთავრობის იმ მოხელეთათვის, რომელნიც სამსახურის გამო სოფელში მიდიან ხოლმე. ამავე ახალს სახლებში იქნება აღწერილობანი და სხვა საჭირო სასტატისტიკო ცნობები საზოგადოების შესახებ და სხვ. გუგუშვილის მეცადინეობით ასეთი შენობები უკვე ააგეს და აკურთხეს კიდეც შემდეგმა საზოგადოებებმა: დიდ-თონეთისა, წყნეთისა, წავკისისა და ვაშლოვანისამ. ამ თვის გასულს აკურთხებენ ენაგეთის სოფლის საზოგადოების ახალს შენობას, ამ ჟამად ამთავრებენ ახალს სახლებს თელეთისა, კოდისა, წინწყაროსა და ყუმისის სოფლის საზოგადოებანი. სახლების აგების დროს საზოგადოებებისათვის ზოგიერთ მემამულესაც აღმოუჩენია შემწეობა. ვაშლოვანის საზოგადოებას თორმეტამდე მემამულე 230 მანეთით შეეწია, ზოგი ფულად, ზოგიც ნივთებით.

✦ კვირას, 14 ივლისს, ალექსანდრეს ბაღში წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენელ საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად გაიმართა **სეირნობა**. ბაღი ნაშუადღევის 1 საათიდან იყო მორთული, უკრავდა სამხედრო მუსიკა და დაფა-ზურნა. სეირნობას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

✦ შაბათს, 13 ივლისს, ქალაქის გამგეობამ განიხილა **მოწერილობა ტფილისის გუბერნატორისა** დედათა სამკურნალოს მოწყობის შესახებ და გარდასწყვიტა, შეიმუშაოს მოხსენება დედათა სამკურნალოსათვის ახალი შენობის აგების შესახებ, რომ უმაღლესს მთავრობისაგან ნებართვის მიღების დროს მზად იყოს გამგეობა ამ შენობის ასაგებად ახალის გეგმით. ამასთანავე გამგეობამ გარდასწყვიტა, მოხსენების შედგენა დაავალოს სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს სტეფანოვს და სამკურნალოს გამგეს. მოხსენების შედგენის დროს ტეხნიკურ საკითხების განსამარტავად და დასახმარებლად, გამგეობის გარდაწყვეტილებით, აღნიშნულ პირთ უნდა მიეშველოს ქალაქის ინჟინერი ტერ-სარქისოვი.

✦ ტფილისის რეალურ სასწავლებლისა, და 1 და მე-3 ვაჟთა **გიმნაზიების მოსწავლენი**, რომელნიც ბ-ნთ ი. ს. ღულაძისა და ინსპექტორის კუმსკოის ხელმძღვანელობით რუსეთის ქალაქების დასათვალიერებლად იყვნენ, უკვე დაბრუნდნენ ტფილისში 14 ივლისს. მოსწავლეებს დაუთვალიერებიათ ქ. მოსკოვში სხვა-და-სხვა შესანიშნავი ადგილები. რამდენისამე დღის შემდეგ ვოლგაზე გემით გამგზავრებულან ქ. კოსტრომაში, იქიდან ცარიცინში ჩასულან და გზა-და-გზა სხვა ქალაქები დაუთვალიერებიათ. ცარიცინიდან მოსწავლენი ბაქო-ბალაჯარის გზით პირდაპირ ტფილისში ჩამოვიდნენ. ამ მგზავრობის დროს თითო მოსწავლეს სამგზავროდ დაჰხარჯვია 30 მან.

✦ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიმიტრი ჩიჯავაძის ხუთის ხარის მოპარვისათვის შეიპყრეს სპარსეთის ქვეშევრდომი ქაჩალ ნავრუზ-ოღლი. ნავრუზ ოღლის ისინიც დაუსახელებია, ვისთანაც იპარავდა საქონელს და მერე უკან უბრუნებდა პატრონს და ფულს ართმევდა. ესენი არიან: ტფილისის მცხოვრებნი, სპარსეთის ქვეშევრდომნი აბაზ-ტატო-ოღლი, ქაჩალ მამედ-ალი-ოღლი და მისი ძმა ქიში-ოღლი, ყარა-ალთა ბარამ-ოღლი და ალმაზ ნადი-ოღლი. ყველა ამათ დასაპატიმრებლად პოლიციამ ღონისძიებანი მიიღო.

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს განსახილველად ქალაქის ლომბარდის წასულ 1901 წლის მოქმედების ანგარიში.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში, რკინის გზის დეპოდან მომავალ დურგალს პეტრე ცარევს წამოსწევია რამდენიმე კაცი და უცემნიათ. ცარევი რკინის გზის ლაზარეთში გაუგზავნიათ. ცარევს არ გაუმხელია, ვინ იყვნენ თავს-დამსხმელნი.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში, 12 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე, საგარეჯოს მცხოვრებს 31 წლის ქალს შუშანიკა ტერ-მესროფიანს დაულევია კარბოლის სიმჟავე. ქალი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, მაგრამ გზაშივე გარდაიცვალა.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გაგზავნოს ქალაქის ხუროთმოძღვარი ავჭალის ქუჩაზე ხუროშვილის სახლის დასათვალიერებლად, სადაც 13 ივლისს ჩამონგრეულა კედელი და მძიმედ დაუზავებია მუშა გიორგი უნაძე.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში, 13 ივლისს, ტფილისის მოქალაქის მეუღლეს 28 წლის მარიამ გაბრიელის ასულს ჩხეიძეს დაულევია აზოტის სიმჟავე. ქალი მაშინათვე მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ, მაგრამ ექიმებმა განაცხადეს, რომ მისი მორჩენა საეჭვოაო.

✦ 14 ივლისს, პოლიციის პირველს ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე, არაფელოვის სახლში, ელექტრონის მანქანას, გაუფრთხილებლობისა გამო, მოსდებია ცეცხლი. მანქანიდან ცეცხლი სახლზე გადასულა და შესაძლებელი იყო დიდი უბედურება და ზარალი მომხდარიყო, მაგრამ ცეცხლის მქრობელთა რაზმი მალე მოვიდა და ცეცხლი ჩააქრო.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ქალაქის გამგეობის მიერ წარდგენილ კანდიდატებიდან დაამტკიცა: უძრავ ქონებათა დამფასებლებად თ. ა. მთავრიშვილი და ს. გ. ყიფიანი, იმათ კანდიდატებად: ბ. ა. ასათიანი, პ. ზ. ქორქაშვილი, გ. ლ. ქურთოშვილი და მ. ს. კაკაბაძე, რომელნიც ამ მოკლე ხანში შეუდგებიან თანამდებობის ასრულებას. მამულების ხელ ახლად დაფასებას ქუთაისი ისე შეჰყურებს, როგორც ციურ მამანას, და მართლაც, თუ მამულები ხეირიანად დაფასდა, 10—15 ათას მანეთამდის მაინც შემატება ქალაქის შემოსავალს. დამფასებლებს დიდი მეცადინეობა ჰმართებთ, რომ სიაში შეუტანელი სახლები არ გამორჩეთ დაუფასებელი; ასეთი სახლი ქუთაისში ძლიერ ბევრია. თუმცა ლაპარაკობენ, რადგან ბინებზედ ახალი გადასახადი შემოიღეს, სახლები ნაკლებად უნდა დაფასდესო, მაგრამ ეს მოსაზრება უსაფუძლოა: ხვალ იქნება სხვა ახალი გადასახადიც დაადვან მცხოვრებთ, ზეგ კიდევ სხვა და თუ ყველა გადასახადები სახლების ფასს გამოაკლდა, რამდენისამე წლის შემდეგ ამ გადასახადისაგან ქალაქს არავითარი შემოსავალი აღარ ექმნება.

✦ ოთხმა აქაურმა მასწავლებელმა: ს. ნ. დათეშიძემ, ვ. ა. ბურჯანაძემ. ა. ჩხეტიამ და ბ. ბოკერიამ დააარსეს ქუთაისში მოსამზადებელი სასწავლებელი, რომელშიაც უკვე მოიყარა თავი 70 მოსწავლემ.

✦ ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსებას დიდი ღვაწლი დასდო, როგორც ვიცით, ნეტარ ხსენებულმა მოძღვარმა გაბრიელ-ეპისკოპოსმა. დიდი წადილი ჰქონდა ამ მოძღვარს იმისა, რომ სემინარია უთუოდ არქიელის გორაზე დაარსებულიყო და ამ წადილის ასასრულებლად თავის მხრით დიდი ნივთიერი საშუალება გადასდო—ოცდაათი ათასი მანეთი შესწირა ამ საქმეს.

გაბრიელ-ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ ქუთაისში სემინარიის დაარსების საქმე, ყველამ ვიცით, დიდად გაწწვავდა: ყველა იმას სცდილობდა, რომ სემინარია ამათ უბანში მოთავსებულიყო. ბოლოს კი ისე გადასწყვიტა სემინარიის მაშინდელმა მთავრობამ, რომ სემინარიის ასაგებად შეიძინეს ქუთაისის მეაფთიაქის ვიტუშინსკის ადგილი: პატრონს ფული ერთიანად მისცეს და ამ გვარად არქიელის გორა სემინარიისათვის დაწუნებული იქმნა.

ამ გარემოებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქუთათურებში და გაბრიელ-ეპისკოპოსის მემკვიდრეებმაც გამოუცხადეს მთავრობას, რომ გარდაცვალებულის მღვდელმთავრის სურვილი იყო, უთუოდ არქიელის გორაზე აშენებულიყო სემინარია და მხოლოდ ამ პირობით შესწირა განსვენებულმა ფულიო. უკეთუ განსვენებულის სურვილი არ აღსრულდება, შეწირულებასაც ვერ გამოვიღებთ, რადგან ეს წინააღმდეგი იქნება ანდერძისაო.

ეხლა ცნობა მოვიდა ქუთაისში, რომ ვიტუშინსკისაგან შეძენილი ადგილი მთავრობას დაუწუნებია და გასასყიდად დაუნიშნავთ, ხოლო სემინარია ისევ არქიელის გორაზე უნდა ააგონ. ამ ადგილზე სემინარიის აგების მოწინააღმდეგენი ერთ უმთავრესს მიზეზად უწყლობას ასახელებდნენ, დღეს კი არქიელის გორას წყალი ბევრი ექმნება, რადგან უმთავრესი წყლის აუზი, როგორც ვიცით, აქ იქმნება გამართული. ამ აუზის

ვისუფალ ამომრჩევლების მისაღებად მრავალი სხვა-და-სხვა ხასიათის მოპოვება საჭირო ინგლისის ქვეშევრდომისათვის.	წლოვანი შეიქნება, ე. ი. 21 წლისა, არავითარი ამგვარი კვალიფიკური არ არის საჭირო იმისთვის სრულ თავისუფალ ამომრჩევლობის უფლების მოსაპოველად.

4. რეგისტრაციის კანონები.

ინგლისი.	ტრანსვაალი.
რთული პირობები, რომელიც აძნელებს ხმის უფლების მოპოვებას ინგლისში და რომლის შედეგიც ნომინალურ ამომრჩეველთა რიცხვიდან თვითოეულ არჩევნის დროს 10-დან 15% გამორიცხვაა.	არავითარი ამგვარი კანონები არ არის. ერთად ერთი ამგვარი კანონია წარდგენა სახელისა და გვარის ფელდკორნეტისადმი ქალაქში შესვლისა და გამოსვლის დროს. ეს რეგისტრაცია რჩება ძალაში იმ დრომდე, ვიდრე ერთი და იგივე ამომრჩეველი ერთსა და იმავე საფელდ-კორნეტოში სცხოვრობს.

5. ხმის უფლება

ინგლისი	ტრანსვაალი.
ერთს შეუძლია რამდენიმე ხმა იქონიოს. ინგლისში სხვა არა სასარგებლო პრივილეგიებიც არის, რომელნიც ზღუდავენ ხმის თავისუფლებას.	ერთს მოქალაქეს —ერთის ხმის უფლება აქვს.

6. სახელმწიფოს უფროსი

ინგლისი.	ტრანსვაალი.
მემკვიდრეობითია.	ამორჩეულია. ყველა სრული წლოვანი ბური — ამომრჩეველია.

7. კანონმდებლობა.

ინგლისი.	ტრანსვაალი.
ერთი პარლამენტი ამორჩეულია, მეორე მემკვიდრეობითი უსარგებლო და ანტიდემოკრატიული.	ორივე პარლამენტი (Raads) ამორჩეულია; კანონმდებლობითი საქმე მათ შორის განაწილებულია.

8. პარლამენტთა ხანგრძლივობა

ინგლისი.	ტრანსვაალი.
საზოგადოებათა პალატა ირჩევა 7 წლ.	volksraads ირჩევა ოთხის წლით.

9. პარლამენტის წევრთა დაჯილდოვება

ინგლისი.	ტრანსვაალი.
პარლამენტის წევრები უსასყიდლოდ მსახურობენ. ეს ერთი იმ მიზეზთაგანია, რომლის წყალობით პარლამენტის წევრებად მხოლოდ მდიდრები ზრძანდებიან.	საპარლამენტო სესიის დროს ყოველ წევრს ეძლევა დღეში 3 გირ. სტერლ. (30 მ.) სასყიდელი არ ეძლევათ იმ წევრებს, რომელნიც არა საპატიო მიზეზისა გამო სესსიას არ დაესწრნენ.

10. წევრთა დაჯარიმება

ინგლისი.	ტრანსვაალი.
პარლამენტს არავითარი უფლება არა აქვს წევრი დააჯარიმოს, ან რაიმე კონტროლი უყოს.	წევრს ჯარიმა გადახდება 5 გ. სტ., 12 შილ. 6 პენსი, თუ კრებიდან წავიდა volksraad-ის ნება დაურთველად.

11. საარჩევნო ხარჯები.

ინგლისი.	ტრანსვაალი.
ეს ხარჯი ისე დიდია, რომ მარტო ძლიერ მდიდარი თუ გაბედავს პარლამენტის წევრობაზე თავის კანდიდატურის წამოყენებას.	არ არის არავითარი ხარჯი. კანონის წინააღმდეგია ფულის დახარჯვა არჩევნების დროს. ამგვარად, მდიდარს და ღარიბს კანდიდატს ერთი და იგივე იმედი აქვსთ ამორჩევისა.

12 რეფერენდუმი.

ინგლისი.	ტრანსვაალი.
არ არსებობს. ხალხს არა აქვს უფლება განმარტოს და გადასწყვიტოს რამე კანონი; შეპირება ბევრია კანდიდატების მიერ არჩევნების დროს, ასრულება კი თითქმის არავითარი.	ყველა კანონი— გარდა საგანგებო და საჩქაროსი — როდესაც პარლამენტი იმის პრინციპებს შეიწყნარებს, უნდა გამოქვეყნებულ იქმნას სამის თვის განმავლობაში მთავრობის გაზეთში, რათა ხალხს საშუალება მიეცეს განიხილოს იგი. ამგვარად ბიურგერებს საშუალება ეძლევათ ან შეატყობინონ თავიანთ ამორჩეულ კაცებს—მხარი დაუჭირონ, თუ არა ახალ კანონს, ან კიდევ პეტიცია შეიტანონ ფოლკსრაადში ამ კანონის სასარგებლოდ, ან იმის წინააღმდეგ.

13. კანონ-მდებლები და კანონთა განმარტებლები.

ინგლისი.	ტრანსვაალი.
ინგლისში არ არის ის, რაც ტრანსვალში.	ტრანსვაალში ყოველ სესიის შემდეგ ყოველი წევრი ვალდებულია წავიდეს თავის ამომრჩევლებთან და ანგარიში წარუდგინოს იმისა, რაც სესიის განმავლობაში იმოქმედა. გარდა ამისა უნდა აუხსნას ხალხს ის კანონი, რომელიც პარლამენტმა შეიწყნარა უკანასკნელ სესიის განმავლობაში.

ფომჩის პირელი

(დასასრული იქნება)

კეთებას წყლისაყვანის ამხანაგობა შეუდგა კიდეც.

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა წლევანდელ კრებების დადგენილების ძალით, ბანკის ზოგიერთ ოპერაციებში შეღავათების, შემოღებამ როგორც გვითხრეს, უნაყოფოდ არ ჩაიარა: ბანკს ხშირად მოსდის სათხოვარი შესახებ იმისა, რომ ტფილისის ბანკში დაგირავებული მამული ქუთაისის ბანკში გადმოიტანეთო. რა თქმა უნდა, ასეთ მოქმედებას კარგი ზედგავლენა ექმნება ქუთაისის ბანკის ოპერაციებზე.

✦ კვირა-პარასკეობით ქუთაისის ბაზრებს დიდ-ძალი სოფლელი ხალხი აწყდება. ამით სარგებლობენ ზოგიერთი ვაჟბატონები და, რაც რამ ძველი გააჩნიათ, ბაზარში გამოაქვთ და მომსვლელ ხალხზე ასაღებენ. ხალხიც ეტანება იაფობას და, ვინ იცის, რა გაჭირვებაში ვარდება სარჩლოთად. განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება მიაქციოს ქალაქის აგენტებმა და ბაზრების ზედამხედველებმა დამპალ ხმელი თევზით ვაჭრობას, რომელსაც ძალიან იაფად ჰყიდიან და ხალხიც ძალიან ეტანება.

✦ ქალაქის მოედნების დასასუფთავებლად გამგეობას თვიური მუშები ჰყავს დაქირავებული, მაგრამ ცუდი ჩვეულება აქვთ ამ მუშებს: ხშირად მაშინ შეუდგებიან მოედნების დასუფთავებას, როცა აქ დიდ-ძალი ხალხია შეგროვილი. განსაკუთრებით კვირა-პარასკეობითაა მეტად საგრძნობელი ასეთი ჩვეულება. ბაზარი სავსეა ხალხით და მუშები კი ხშირად 11 საათზე ჰგვიან ბაზრებს და აუარებელ მტვერს ხალხს თავ-პირში აყრის.

ნუ თუ საბაზრო მოედნების დაგვის გაწესრიგება ისეთი ძნელი საქმეა, რომ ქალაქის აგენტებს აღარ შეუძლიათ ამის ასრულება?..

ქუთაისის ქუჩა-მოედნებს ამშვენებენ აგრეთვე ღორები, რომელნიც ძალიან ეტანებიან დამპალ ნესვს, საზამთროს და ხილს: ქუჩა-მოედნები ხომ სავსეა ამ ჟამად ხილით. ერთ დროს ჩვენი პოლიცია ეზოებშიაც კი გვიშლიდა ღორის შენახვას, ეხლა კი ქუჩა-მოედნებზედაც თავისუფლად დასეირნობენ.

რუსეთის ქრონიკა

✦ ოდესის უნივერსიტეტში წელს მეტ ებრაელს მიიღებენ, ვიდრე წინად იყო. შარშან მიღებული ებრაელნი საერთო რიცხვის 7%-ს შეადგენდნენ, წელს კი 10%-ს მიიღებენ.

✦ უმაღლეს მთავრობას შეუმუშავებია ახალი წესები მეუღლეთა განშორებისა და ცალკ-ცალკე ცხოვრებისა. ამ წესების ძალით, ერთნაირად შეუძლიანთ ქმარსაც და ცოლსაც მოსთხოვონ სასამართლოს მათი გაშორება. როდესაც სასამართლო შეიწყნარებს ამ თხოვნას, ცოლ-ქმარს შორის ისპობა ის დამოკიდებულება და ვალდებულება, რომელსაც კანონი აკისრებს.

✦ ერთის კერძო საქმის გამო, საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ ისინი, ვინც სამხედრო სამსახურში „ვოლნოოპრედელიაიუშჩებად“ არიან, არ შეიძლება ქალაქის სასწავლებლის საპატიო მზრუნველად დაინიშნონ.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დაბეჭდა ახალი წიგნი—„შინა-მრეწველობის მიმოხილვა რუსეთში.“

✦ პეტერბურგში შესდგომიან „საშუალო სკოლის მოღვაწეთა“ ლექსიკონის გამოცემას. ლექსიკონში მოთავსებული იქმნება ბიოგრაფიები, დახასიათებანი, ბიბლიოგრაფიები. ცნობების შესავსებად რედაქციამ საშუალო სკოლის მასწავლებლებს მიჰმართა.

✦ 7 ივლისს საოცარი ნიაღვარი ეწვია ქალაქ კიევს. ზარალს გარდა, ნიაღვარმა რამდენიმე კაციც იმსხვერპლა. ნიაღვრის შემდეგ მთელი ქალაქი ქვიშითა და ლამით იყო სავსე; სარდაფებში ყველგან წყალი იდგა; ქუჩებში მთელი მდინარეები მიდიოდა. წყალი დიდ-ძალ მაღაზიასა და სახლში შევარდნილა. ერთ რესტორანში სამი კაცი დამხჩვალა. ეს რესტორანი სარდაფში იყო თურმე მოთავსებული. როდესაც წყალი სარდაფში შევარდნილა, ყველანი, ვინც კი სარდაფში ყოფილან, გარედ გამოცვივნულან. მხოლოდ სამზარეულოში დარჩენილა სამი კაცი. ისინი ფეჩის თავზე ასულან, ჰგონებიათ წყალი ვერ ამოხწევსო, მაგრამ როდესაც იქაც ასულა წყალი, ამხჩვალან.

მეორე ადგილას მთელი ორი ოჯახი დაიხრჩო. ერთ სარდაფში სცხოვრობდა დურგალი ბარანოვსკი. ცოლი და სამი ბავშვა ჰყავდა ამ დურგალს. ამას წინად დურგალთან სტუმრად მისულა თავის სამის ბავშვით ცოლის და. უბედურების დღეს დურგალი შინ არ ყოფილა; ცოლი იმისა და და ბავშვები სადილსა სჭამდნენ თურმე. მოულოდნელად გაღებულ ფანჯრიდან წყალი შევარდნილა. ოთახი საჩქაროდ ივსებოდა. დები თავიანთის შვილებით ფეჩის თავზე ასულან, მაგრამ მალე წყალს იატაკამდე აუწევია და ყველანი დაუხრჩვია. გადარჩა მხოლოდ ერთი ძუძუთა ბავშვი, რომელიც გობში მჯდარა, ხოლო გობი წყალს მოუტივტივებია.

სხვა ქუჩაზე სარდაფშივე სცხოვრობდა ხარატი შიბიკინი ცოლითა და ორის მცირეწლოვან შვილით. ნიაღვრის დროს მთელი ოჯახი სარდაფში იჯდა. წყალს ეს სარდაფიც ხელად აუვსია. თვით შიბიკინს მოუხერხებია ფანჯრის გამომტვრევა და ქუჩაში გამოვარდნილა, მაგრამ სხვები დამხჩვალან.

ერთ ქუჩაზე ნიაღვარს მოხუცი დედაკაცი ალექსეენკო მოუტაცნია. ეს დაუნახვას ალექსეენკოს ახალგაზდა ქალს ელისაბედს და გადამხტარა საშველად, მაგრამ მალე თვითონ დამხჩვალა. მოხუცი ალექსეენკო, როგორც იქმნა, გადაურჩენიათ.

ამ გვარი უბედურებანი მთელ ქალაქში მომხდარა. საავადმყოფოს საანატომიო განყოფილება სავსეა თურმე დაღუპვილთა გვამებით.

პრესსა

ბოლოს დროს გაზეთებმა ისევ დაიწყეს ლაპარაკი რუსეთში უმაღლეს სასწავლებელთა ნაკლებობის შესახებ. ეს ლაპარაკი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ახლად დაარსებულს პეტერბურგის პოლიტეხნიკურს ინსტიტუტში შესვლის მსურველთა რიცხვმა 2500-მდე მიაღწია! გაზეთები აღნიშნავენ ამ გარემოებას და ამტკიცებენ, საჭიროა კიდევ გაიხსნას რამდენიმე უმაღლესი სპეციალური სასწავლებელიო. ამავე საკითხს ეხება გაზეთი „კავკაზ“ და სამართლიანად სწერს:

> რუსეთის არც ერთი კუთხე ისე არ არის შეწუხებული ამ მხრით, როგორც კავკასია! სწორედ ანორმალური მოვლენაა, რომ ამ უმდიდრესს ქვეყანაში ჯერ არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არის,—იმ ქვეყანაში, რომელიც 500 მილიონ ფუთზე მეტ ნავთს გვაძლევს წელიწადში და სადაც უმდიდრესი მადნებია მარგანეცისა, ქვანახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა. ყველა ეს მადნები, სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ერმოლოვის სიტყვით, მეტად ცუდად მუშავდება, რადგან ადგილობრივმა მრეწველებმა არაფერი იციან სამრეწველო თანამედროვე ტეხნიკისა. კავკასიაში ძალიან საგრძნობელია სწავლულ ტეხნიკოსთა ნაკლებობა. ბაქოს მრეწველთაგან ორსამსაც არა ჰყავს ნასწავლი ტეხნიკოსი: დანარჩენები ზედამხედველობას უბრალო ზეინკლებს აბარებენ, რომელთაც პრაქტიკულად აქვთ შესწავლილი ნავთის მრეწველობის ტეხნიკური მხარე. ამასთანავე ისიც საჭიროა გავიხსენოთ, რომ რუსეთში სრულიადაც არ არის სასწავლებელი, სადაც ნავთის მრეწველობის ტეხნიკობას ასწავლიდნენ. ხოლო ის გარემოება, რომ მრეწველთ სწავლული ტეხნიკოსები არა ჰყავთ, ძალიან მავნებელია როგორც კაპიტალისტებისა, ისე მუშებისათვისაც; უკანასკნელთათვის ამიტომ რომ არავინ ზრუნავს უბედურ შემთხვევათაგან მათ უზრუნველყოფობისათვის. სახელმწიფო ქონებათა მინისტრი-კი ამას დასძენს, რომ ეს გარემოება მთელის ქვეყნისათვისაც მავნებელიაო, რადგან მადნების ცუდი ექსპლოატაცია აფუჭებს თვით ამ მადნებს და ქვეყნის სიმდიდრის ძირი ეთხრებაო.

შემდეგ გაზეთი სწერს, რომ პოლიტეხნიკუმი უთუოდ ტფილისში უნდა დაარსდეს და არა კავკავშიო, რომელსაც არავითარი უპირატესობა არა აქვს: ტფილისი მთელის კავკასიის ცენტრია და მდიდარიც არისო; თვით მასაც შეუძლია შეინახოს უმაღლესი სასწავლებელი და სხვა ქალაქებიც ტფილისს უფრო დაეხმარებიან, ვიდრე კავკავსაო.

⁂

ამიერ-კავკასია კალიამ შეაწუხა. ყოველ წელს ხან ერთ ალაგას, ხან მეორეს ესტუმრება ეს საშინელი მტერი და ანადგურებს სოფლის მეურნის სიმდიდრეს. ბევრს ებრძვის ამ დაუპატიჟებელს სტუმარს მთავრობაც, ხალხიც, მაგრამ ვერას გაჰხდნენ. ამ საკითხს ეხება გაზეთი „კასპი“ და ამტკიცებს, თვით ჩვენი ბრალია, რომ ამდენ ხანს კალიას ვერ ვძლიეთო.

> საქმე ის არის, სწერს გაზეთი, რომ უდროოდროს ვებრძვით მტერს. ჩვენ რომ კალიას მთელი წელიწადი განუწყვეტლივ ვებრძოლებოდეთ, უთუოდ მოვსპობდით მის სახსენებელს კავკასიაში. აი ახლა, მაგალითად, შუაგულ ზაფხულში, კალია კვერცხსა სდებს და იხოცება; ჩვენ-კი მის მაგიერ რომ ბრძოლა განვაგრძოთ, თავისუფლად ამოვისუნთქავთ და ვამბობთ: აჰა, მადლობა ღმერთს, გაწყდა კალია! ის-კი არ ვიცით, რომ სწორედ ახლაა დრო მასთან ბრძოლისა: კვერცხი უძრავად სდევს ერთ ალაგას და ადვილი მოსასპობელია! სწორედ ეს გვირჩიეს მეცნიერებმაც; მაგრამ დახედეთ, როგორ მოვაწყვეთ ბრძოლის საქმე: დავნიშნეთ ზედამხედველები, რომელთაც დაევალა თვალ-ყური ედევნათ, სად სდებს კალია კვერცხს და მაშინვე ეცნობებინათ მთავრობისათვის; ხალხს-კი გამოეცხადა: ვინც კალიის ამდენსა და ამდენს კვერცხს წარმოადგენს, ამდენი ფული მიეცემაო. არც ერთმა ღონისძიებამ ჩვენში სარგებლობა არ მოიტანა: ზედამხედველები ჯამაგირს ღებულობდნენ და კალიაზე თვალ-ყურის გდებისათვის თავს არ იწუხებდნენ; კვერცხების შეკრება-კი ხალხმა სავაჭრო საქმედ გაიხადა. ერთსა და იმავე კვერცხებს გლეხები რამდენჯერმე წარუდგენდნენ მთავრობას და ოღონდ ორიოდე გროში მიეღოთ, იმას აღარ ჰდარდობდნენ, რომ კალია რჩება და მერმის მთელს საცხოვრებელს გაანადგურებსო...
>
> აი ასე საძაგლად გვაქვს მოწყობილი საქმე კალიის წინააღმდეგ ბრძოლისა და რაღა საკვირველია, რომ ვერასოდეს ვერ მოვიშორებთ ამ გაუმაძღარ მტერს.

დაბა-სოფლები

სად. ნატანები (ოზურგეთის მაზრა). 11 ამ თვეს, ღამის 10 საათზე, სად. ნატანებიდან შვიდ ვერსტის მანძილზე ადგილობრივმა „სტრაჟამ“ მოჰკლა ადგილობრივვე ტყის მცველი სტეფანე გასაძე. ეს გასაძე თავის ამხანაგებთან ერთად წასულა სათევზაოდ მდინარე ნატანებზე, სადაც სადამოზედ, თევზაობის შემდეგ, მიუტანიათ რამდენიმე ბოთლი ღვინო და არაყი და ცოტა შეზარხოშებულან. გადაკრულ ს. გასაძეს სრულიად გაუხდია ტანისამოსი და ტიტველი გაქცეულა გზა-ტკეცილზე. გზაში შეხვედრია „სტრაჟნიკები“, რომელთაც უკითხავთ ვინაობა, მაგრამ გასაძეს პასუხი არ მიუცია, რისთვისაც „სტრაჟნიკებს“ (ორნი ყოფილან, ერთი რუსი-ერთიც ქართველი) მოუნდომებიათ გასაძეს დაჭერა. „როდესაც მივედი დასაჭერად, უთქვამს ერთს „სტრაჟნიკს“, გასაძემ თოფის წართმევა დამიპირა და რომ თოფი არ წაერთმია, იძულებული ვიყავი მომეკლაო“. ამ მკვლელობის გამო 12 ივლისს იყვნენ ნატანებში გამომძიებელი და ექიმი.

რ. ჭ—ში

წერილი სვანეთიდან

ახალი გზა ცაგერიდან ქუთაისამდე

„ცნობის ფურცლის“ მე-1837 ნომერში მოთავსებულია წერილი „ლაჯანელისა“ ლეჩხუმ-ქუთაისის გზის შესახებ. როგორც გეწყით, დ. ცაგერიდან, სადაც სამაზრო დაწესებულებანია, სოფ. ჩხუტიელსა, ორბელსა, ლაჯანაზე მიდის სათოსტო გზა და ალპანა-აჭარაში უერთდება რაჭის სათოსტო გზას. მთავრობამ მოისურვა ამ გზის კარგად მოწყობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცაგერიდან ახალჭალამდე ხეირიანი გზის გაყვანა შეუძლებელია.

აი, ამისთვის მოისურვეს გზისთვის სხვა მიმართულება მიეცათ. მთავრობამ ამ საქმის გამოსარკვევად გამოგზავნა ორი მოხელე, რომელთაც მაზრის უფროსთან ერთად დაათვალიერეს აწ არსებული გზა და მისი მიდამოები და საჭიროდ სცნეს გზის ახალის მიმართულებით გაყვანა. ახალ გზას „ხონის გზა“ დაარქვეს. ბ. „ლაჯანელი“ გვიმტკიცებს, რომ „ამ მიმართულებით გზის გაყვანა ყოვლად შეუწყნარებელიაო“. თავის აზრს „ლაჯანელი“ ასაბუთებს იმით, რომ ახალი გზა ლეჩხუმის მხოლოდ ორს სოფელს გაუწევს სამსახურს, იგი უფრო გძელია აწ არსებულს სათოსტო გზაზე და ამისი გაყვანა მთავრობას ბევრად დაუჯდებაო...

ახალის მიმართულებით გზა გაჰყვება ცხენის წყლის ნაპირს, გაივლის ს.ს. ლუხვანოს, ზუბს, ბარლანას, ოყურეშს, მახაშს, გადალახავს დ. ხონს და ჩავა ქუთაისში. ამ გზითვე ისარგებლებენ ზარაგულელები, ლეხვირლები, ლასურიაშლები, აღვლლები, წიფერჩელები და სხვანი, ერთის სიტყვით ის სოფლები, რომელნიც მდინარე ცხენისწყლის ნაპირებზე მდებარეობენ. ეს გზა ჰხვდება აგრეთვე სენაკის მაზრის რამდენსამე სოფელს, შემდეგ ქუთაისის მაზრას, მაშასადამე ახალი გზა გაუწევს სამსახურს თითქმის სამს მაზრას: ლეჩხუმისას, სენაკისას და ქუთაისისას და არა მხოლოდ ორს სოფელს, როგორც ბ-ნი ლაჯანელი ამბობს. ზემოდ დასახელებული სოფლელნი, ჰგრძნობენ-რა ამ გზის სარგებლობას, ადგენენ განაჩენებს, რომელთა ძალითაც ვალად ხდიან თავიანთ თავს, შემწეობა აღმოუჩინონ მთავრობას ან ფულით, ან მუშაობით.

მეორე აზრიც ბ-ნ ლაჯანელისა, რომ ახალი გზა გძელია წინანდელზე,—სიმართლეს მოკლებულია: ზემოთ დასახელებულ მოხელეთა გამოანგარიშებით, ახალის გზის სიგრძე იგივეა, რაც ძველისა, ესე იგი 71 ვერსი.

შესაწყნარებელი არც მესამე აზრია, რომ ახალი გზა მეტ ხარჯს მოითხოვსო. ჯერ ერთი რომ ახალი გზის გაყვანა მეტი არ დაჯდება, რადგან ძველმა გზამ ბევრი ფული შთანთქა და ბევრსაც შთანთქავს; მეორეც, ახალ გზას თითქმის ყოველგან მაგარი ნიადაგი ხვდება და გაფუჭების შიში იმდენად არ არის, რამდენადაც ძველს გზაზე იყო.

ბ-ნი ლაჯანელი იმასაც ამბობს, რომ სამაზრო დაწესებულებათა ცაგერიდან გადატანა სვანეთს არ აზარალებსო. ამ აზრის დასამტკიცებლად ამბობს, რომ ზ. სვანეთი „ცხრა თვის განმავლობაში მოწყვეტილია ლეჩხუმს და ამიტომ არაფერი საქმის დაჭერა მასთან არ შეუძლიანო“. მართალია, ზაფხულობით ზ. სვანეთში მიდის მომრიგებელი მოსამართლე საქმეების გასარჩევად, მაგრამ ისე მცირე ხანსა რჩება (ერთი თვე), რომ შეუძლებელია ყველა საქმის განხილვა. ამიტომ უმეტესი ნაწილი გამოსაძიებელ საქმეებისა ისევ ცაგერში ბოლოვდება, სადაც ერეკებიან სვანებს ზამთარშიაც. გადამეტებულია ის სიტყვებიც, ვითომც ზ. სვანეთს ლეჩხუმთან საქმის დაჭერა არ შეუძლიანო. მეათე თვეზე მეტი გზა გვითელიათ და კიდევ შორს გავრეკოთ... (ძარღვებს დაიზელს!..).

„რაც შეეხება ქვემო სვანეთს (სადადიანო), იმას დაბა ლაილაშთან უფრო აქვს კავშირი, ვიდრე ცაგერთან“-ო,—ამბობს ბ-ნი ლაჯანელი. ალბად ამის თქმის დროს ავტორს სახეში ჰქონდა მხოლოდ ლაშხეთის საზოგადოება, რომელსაც ეგრედ წოდებულ „ლენხერის“ გზით უფრო ეხერხება ლეჩხუმისაკენ მგზავრობა (მოკლე გზაა და ახალჭალა-ლაჯანაში ჩადის) და ისიც სამის თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენს დროს სულ ცაგერით დადის... დანარჩენი ორი საზოგადოება ჩოლურისა და ლენტეხისა ალბად მიატოვა ბ-ნმა ლაჯანელმა, თორემ რა მოსაზრებითაა ნათქვამი, რომ ქვემო სვანეთისათვის ლაილაში უფრო საჭიროა, როდესაც ქვემო სვანეთის უმეტესმა ნაწილმა უთუოდ ჯერ დ. ცაგერი უნდა გაიაროს და მერმე, თუ დასჭირდა, ლაილაშამდე 15—16 ვერსი კიდევ უნდა გადალახოს.

პირდაპირი გზა ცაგერიდან ხონამდე და ხონიდან ქუთაისამდე ბევრს სამსახურს გაუწევს მთელს ლეჩხუმის მაზრას: ამ ადგილებიდან დიდძალ საქონელს შემოიტანენ დ. ცაგერში. შემოვა აგრეთვე ბლომად სიმინდი, რომელიც ხონსა და სენაკის მაზრაში ძლიერ იაფია და რომელიც სვანებს შიმშილისაგან იხსნის. ყველას მოეხსენებათ, რომ ზ. სვანეთი ყოველ წლივ ეზიდება სიმინდს ლეჩხუმიდან, მაგრამ, რადგან აქ გაძვირდა (ფუთი ღირს მანეთი—6 აბაზი), ამიტომ სვანები მიდიან ხონისაკენ და იქ ყიდულობენ. როგორ არ იქმნება მათთვის უფრო შეღავათი, როდესაც სიმინდის ყიდვას იგინი შეიძლებენ დ. ცაგერში, თუ იმ ფასად ვერა, ცოტა მეტ ფასად ხომ მაინც. სამაგიეროდ დრო არ დაეკარგება და შორს სიარული ასცდება.

სვანი-მუშვან

წერილი სიღნაღიდან

ვაჭრობის დაქვეითება სიღნაღში.—ვაჭრების ოინები.—გლეხის გაჭირვება.—წლევანდელი მოსავალი

ჩვენის ქალაქის ბედი და იღბალი უკუღმა მიდის; შარშანდელმა მოუსავლობამ ისე დასწია უკან სიღნაღი, რომ ასის წლის ბებრივით მოიკუზა წელში. ვაჭრობა საშინლად დაეცა. ბაზარში მუშტარი უმთავრესად გლეხ-კაცობაა; წელს თვითონ გლეხ-კაცობას არა ებადა რა და ვაჭრებს რას გაუნაწილებდა. უთუოდ ამიტომ მძვინვარებს აქეთ ვაჭრობის სენი, რომელსაც კოტრობას ეძახიან. სიღნაღის ღირსეულ ვაჭართათვის სწორედ გადამდებ ჭირად გადაიქცა კოტრობა. ჯერ ა. ხ—ვი გაკოტრდა, იმას მიჰყვა ა. ი—ფოვი, შემდეგ ამ ორის მაგალითს ს. პ—ვმაც მიჰბაძა. ბოლოს ამათ გ. ა—ვი და სხვებიც გამოუდგნენ.

საზოგადოდ ბევრი ისეთი ზნე და ხასიათი სჭირთ სიღნაღელ ვაჭრებს, როგორსაც სხვაგან იშვიათად შეხვდებით. აი ერთი ნიმუში სიღნაღელ ვაჭრის ზნისა. ხშირად გულ-უბრყვილო მუშტარს. უფრო მანდილოსანს, ნავაჭრ საქონელში ჩუმად უხვევენ ერთს ან ორ ნაჭერს კარგ ბაღდადს, ან ძვირფას ფარჩას. როდესაც დარწმუნდება ვაჭარი, რომ მუშტარი სიღნაღს გასცდა, დაადევნებს გაწრთვნილ ნოქარს. ნოქარი წამოეწევა გზაზე გულ-უბრყვილო დედაკაცს, მოიბუზება ეშმაკურად და ეტყვის: „დედავ-ჯან, თუ უკაცრავად არ ვიქნები, აბა ნავაჭრი მიჩვენე, ცოტა იანდლიშად მოვსულვართ“. გახსნის ფართალს და, რა ნახავს ბაღდადს, შეჰსძახებს: „ვა, ეს რა არი? განა შეიძლება ესე თვალ-და-თვალ ქურდობა? ეხლავ პოლიციაში გიკრავთ თავს. წამოდით, წამოდით უკან“.. გაოცებული მუშტარი პირს აღებს და ბოლოს, აურ-ზაურის თავიდან ასაცილებლად, ფულს აძლევს ნოქარს და ისტუმრებს.

ასე ექცევიან ჩვენებური ვაჭრები სოფლელ მუშტრებს. წელს-კი, ღვთის წყალობა გაქვთ, ვეღარაფერს აზერხებენ, რადგანაც მუშტრები სულ აღარა ჰყავთ. სოფელს არაფერი გააჩნია და აბა სავაჭროდ რად წავა. შარშანდელმა მოუსავლობამ სიღნაღში აღარ გააწანა სავაჭროდ სოფლელი, რის მიზეზით ვაჭრობაც დაეცა და კოტრობა კოტრობას მოჰყვა.

ამ მოუსავლობით სიღნაღის მაზრას, ნამეტნავად ქიზიყს, ცუდი დღე დაადგა. ყველას გვეგონა, სიღნაღის მაზრას რომ ხუთ წელიწადს არა მოუვიდეს რა, მარტო ქიზიყი შეინახავსო. მაგრამ გაცრუვდა ეს ჩვენი იმედი. ისე გაუჭირდა ქიზიყს საქმე, რომ მაზრის უფროსმა ბ. შანშიევმა დაიბარა ხორბალი 15000 მანეთისა და დაურიგა ქიზიყელებს, ზოგს სათესლედ და ზოგსაც საჭმელად. ეს ფული სესხად იქმნა აღებული სამეურნეო თანხიდან. ბევრგან სოფლელებმა მიჰყიდ-მოჰყიდეს შინაური საქონელი: ხარი, კამეჩი, ცხენი და რის ვაი-ვაგლახით გამოჰკვებეს ცოლ-შვილი. მართალია, წელს ფქვილის ფასი არ ასცილებია 1 მ. 50 კ., მაგრამ ვაი ამისთანა ფქვილს! მომეტებული ნაწილი მწარე ბალდაშიგით გამოდგა, ზოგში ნახევარს ქატოს ურევდნენ და ისე ჰყიდდნენ.

კიდევ კარგი, რომ წლევანდელი მოსავალი ხეირიანია. მართალია, ცოტა მოხნეს, მაგრამ რაც მოხნეს, კარგია. ქერები ადრე გაიჭრა, ყანების მკასაც ათავებენ. გაისმა კევრზე სიმღერა და გაეხსნა დანაოჭებული შუბლი გლეხსაც. მაგრამ, როგორც ვატყობთ, სიხარული მოკლე დღისა იქნება. ბევრი, ძალიან ბევრი გიორგობისთვემდე შეჭამს გლეხს თავის ნაშრომ-ნაღვაწი. ან კი ვინ შეაყოლებს იქამდის!..

რაზმაძე

წერილი ლანჩხუთიდან

სამკითხველოს კრება.

10 ივლისს ლანჩხუთის სკოლის დარბაზში, მღ. დავით იმნაიშვილის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდათ ადგილობრივ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს წევრებს. კრებას მოხსენდა სარევიზიო კომისიის მიერ შემოწმებული ანგარიში, საიდანაც აღმოჩნდა, რომ სამკითხველოს საქმეები კარგად არ იყო მოწყობილი. სამკითხველოს ჰქონია სასწავლო და საკანცელარიო ნივთების საკუთარი მაღაზია. წინა წლებში ეს მაღაზია ორას მანეთს მოგებას აძლევდა სამკითხველოს, წელს-კი ერთი კაპეიკიც არ მოუცია. ლაპარაკი გამოიწვია ოცდა ცხრა მანეთმა, რომელიც ორი წელიწადია ბ-ნ ნ. მ—ზე ყოფილა ვალად და დღესაც არ გადაუხდია. ბ-ნმა ნ. მ—ძემ განაცხადა: მართალია, ეგ ფული ჩემზე დარჩა, როდესაც სამკითხველოს გამგედ ვიყავი, მაგრამ გ. უ—ძეს უნდა გადაეხადა, რადგან იმისი დახარჯული იყო. შეჰპირდა ერთ თვეში გარდავიხდიო.

შემდეგ ჯერი მიდგა 18 მანეთზე, რომელიც ამავე გ. უ—ძეს დაუხარჯავს ამ ერთის წლის წინად. აქედან ცხრა მანეთი გადაუხდია კრების წინა დღეს, ხოლო დანარჩენის შესახებ სთქვა, რომ წარმოდგენის ბილეთები გავეცი ნისიად და ფული ვერ ავიღეო. ცოტაოდენის კამათის შემდეგ კრება მეორე დღისთვის გადაიდო.

მეორე დღეს კრება დაიწყო ბ. დ. ცინცაძის თავმჯდომარეობით. კამათი ასტყდა იმ ცხრა მანეთზე, რომლის გადახდაზე გ. უ—ძე უარს ამბობდა. კრებამ ხანგრძლივის კამათის შემდეგ გ. უ—ძეს დაავალა ამ ცხრა მანეთის გადახდა. შემდეგ აირჩიეს ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გამგეობის არჩეულმა წევრებმა მოსთხოვეს ყოფილს მმართველს კირილე წილოსანს ჩაბარება სამკითხველოს ფულისა და ქონების, მაგრამ ამ უკანასკნელმა განაცხადა: სამკითხველო ჩაიბარეთ და ფულს ერთ კვირაში წარმოგიდგენთო.

მეთვალყურე

უცხოეთის წვრილი ამბები

ბავშვები ქირით. დასავლეთ ამერიკის ერთს ქალაქში ეხლახან ერთი კონტორა გახსნეს, რომელსაც აზრადა აქვს, უშვილო ხალხს გასართობად რამდენიმე საათით, დღით ანუ თვეობით ლამაზი ბავშვები მიჰგვარონ ხოლმე.

ბევრი შეძლებული ქალებია, რომ ბავშვები ძალიან უყვართ, ესიამოვნებათ იმათთან დროს გატარება, მაგრამ შვილად აყვანას კი უფრთხიან, რადგანაც ეს დიდს მოვალეობას ითხოვს. აი ამგვარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დააარსეს ზემოხსენებული კონტორა.

გასაქირავებელი ბავშვების დედები უმეტეს ნაწილად ღარიბი მუშა ხალხია, და იმათთვის დიდი შეღავათია, როდესაც იმათ პაწაწკინა ბავშვებსაც ფული შემოაქვთ სახლში. კანტორა პირობას უდებს, რომ იქ მიყვანილი ბავშვები ძალიან კარგ ყოფაში იქნებიან, და კარგად მოუვლიან იმათ. ამასთანავე ხელწერილს აძლევენ მშობლებს, რომ დიდ ფულს გარდაიხდიან, უკეთუ ბავშვს რამე უბედურება შეემთხვევა შინ არ ყოფნის დროს.

საწყალმა დედაკაცებმა, რომლებიც ასე ქირით აძლევენ ბავშვებს, კარგად იციან, რომ იმათ ბავშვებს მდიდრების სახლები ბევრით უკეთესად მოუვლიან, ვიდრე თავის სახლში, სადაც გაჭირვება და სიღარიბე სუფევს.

ამ ჟამად კანტორის წიგნებში მოთავსებულია ორასამდე ბავშვის სახელი, ექვსი თვიდან დაწყებული ორ წლამდე. მხოლოდ ჯანსაღი და ლამაზი ბავშვები უნდა აარჩიონ. ბავშვების აქეთ-იქით ტარება და ოჯახების გამოცვლა თურმე ძალიანა რგებს იმათ და მოსწონთ კიდეც.

თუმცა ეს ჭკვიანური მოგონებაა, მაგრამ ამ საქმეს ვაჭრული ხასიათიცა აქვს და ძალიან შემოსავლიანი საქმეც არის. ბავშვის ამყვანმა ქალმა უნდა გადაიხადოს დღეში ორი მანეთი და 40 კაპ. თუ სურთ ერთი კვირა იყოლიონ ბავშვი, მაშინ ფასს უკლებენ და თვეობით ხომ უფრო ნაკლებს იღებენ. ერთ თვეზე მეტი ბავშვის დაჭერა არ შეუძლიანთ, რადგანაც არ უნდათ, დედას დიდხანს მოაშორონ.

რომ ბავშვები ერთმანეთში არ აურიონ და არ შეეცვალოთ, კონტორა იმათ თან ატანს სრულ სახელს ადრესს, რომელიც აღნიშნულია იმათ ქამრებზე გარდა ამისა, ყველა დედამ, რომელიც ბავშვს ქირით აძლევს, უნდა წარმოადგინოს ვისიმე ცნობილი სანდო პირის წერილიც, რადგანაც ბევრი დედებია, რომ შვილების მოშორება უნდათ, მიუყვანენ კანტორაში და მიანებებენ თავს.

* *

იაპონიის მცენარენი და პირუტყვნი. იაპონიელები ცნობილნი არიან, როგორც განგებ დამამახინჯებელნი მცენარეებისა და პირუტყვებისა. ასე, მაგალითად, ევროპის გამოფენებზე რამდენჯერ გამოუტანიათ იაპონიის ასწლოვანი ხეები, რომლებიც კაცს შეუძლიან თავის ქუდში მოათავსოს. ეხლახან პარიზში იაპონიის ამგვარი პატარა ხეები ისყიდებოდა და თითოში აძლევდნენ ასი-ათას ფრანკიდან დაწყებული რამდენიმე ასი-ათას ფრანკამდე; ამასთან რაც უფრო ხნიერია ხე, იმდენად ძვირადა ღირს.

ამგვარად იაპონიელებმა მოაშენეს პატარა მამლები, მტრედზე ბევრით პატარა, საქალებო ფინიები მუშტზე პატარა და სხვ. ამითი არ დაკმაყოფილდნენ იაპონიელები და დიდი ჯიშის ცხოველების მოშენებასაც შეუდგნენ. აი, ამ დამახინჯებული ჯიშის მამლები მოაშენეს, რომლებსაც საშინელი გრძელი კუდები აქვთ. ზოგი მამლის კუდი სიგრძით ორ საჟენ ნახევარია, ასე რომ, როდესაც მამალი ბანზე ზის, იმისი კუდი დედამიწას ეხება. ოთხმოცი წელიწადია, რაც ამ ჯიშის მამლები გააჩინეს იაპონიაში და ძალიან გავრცელებულიც არის. 1896 წელს ერთმა იაპონიელმა გენერალმა ტეროშიმ საჩუქრად გამოუგზავნა პრუსიის სამხედრო მინისტრს გენერალ შელლენდორფს მართლა რომ დიდებული მამალი, რომელსაც სამ საჟენამდის კუდი ჰქონდა. მაგრამ მამალი ავად გახდა და ლიონში მშვენიერი კუდი მოსჭრეს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ცხინვალი. გუშინ, 15 ივლისს, ცეცხლი გაჩნდა სოფ. ცხინვალში. ნახევარი სოფელი დაიწვა. ცეცხლი ჯერაც ვერ გაუქრიათ. მოვიდა ტფილისის გუბერნატორი. ზარალი დიდია.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივლისი

ყაზანი. 12 ივლისს გემ „მეშენ“-ით მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, საიუნკრო სასწავლებლის ბანაკი დათვალიერა და შემდეგ მდინარე ვოლგათი გაემგზავრა.

ჩარჯუი. ბუხარის ემირი მოვიდა და საღამოს მიემგზავრება.

ხარბინი. 20 ივნისიდან ხარბინში ავად გახდა 377 რუსი და 863 ჩინელი, მოკვდა 187 რუსი 639 ჩინელი. ჭირი ნელდება.

ნიჟნი ნოვგოროდი. დიდ-ძალი საქონელი მოჰზიდეს. ეტყობა, მოვაჭრენი ადრე მოვლენ.

ვაშინგტონი. პორტ-ო-პრენსში მყოფი ჩრდილოეთ ამერიკის ელჩი იუწყება, რომ მთელ სახელმწიფოში დიდი შეტაკება და არეულობაა. ფირმენი პორტ-ო-პრენსის ასაღებად მიდის. დროებით მართველობა დათხოვნილ იქმნა.

პარიზი. „საფრანგეთის ლიგის“ გუშინდელს კრებაზე კოპპემ და ლემეტრმა გაჰკიცხეს ის პოლიტიკა, რომელიც და-აღმზრდელთა განდევნით გამოიხატა. ასეთი განდევნა უკანონობაა, ამბობდნენ. ნაციონალისტთა მანიფესტაციები მოხდა. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

კიევი. პირველ ივლისისათვის 530,518 დესეტინა ჭარხლის პლანტაცია იყო. მავნე მწერებმა, აგრეთვე ქარებმა და ნიაღვარმა დააზიანეს პლანტაციები. საზოგადოდ-კი სამხრეთ დასავლეთ მხარეში კარგის მოსავლის (ჭარხლის) იმედი აქვთ.

ირბიტი. საქონელს ციმბირის ჭირი გაუჩნდა.

პარიზი. შუადღისას „თანხმობის მოედანზე“ შეიკრიბნენ სოციალისტები და კონგრეგაციების მომხრე-დამცველნი: ცხარე კამათი მოხდა, მაგრამ ხალხს მშვიდობიანად ეჭირა თავი. პოლიციამ გააშორა ერთმანეთს მოკამათენი. რამდენიმე უმნიშვნელო შეტაკებაც მოხდა.

ლილსა და ლიონიდან იუწყებიან, რომ იქაც მოხდა ცოტაოდენი შეტაკება.

პარიზი. ყველაზე უფრო აღსანიშნავია გაბრიელის ქუჩაზე მომხდარი შეტაკება. ხალხი ჰყვიროდა: „შორს ჩვენგან სამღვდელოება“ და ქვები დაუშინა მხატვართა კლუბის შენობას. საღამოზე კლერიკალებსა და სოციალისტებს ჩხუბი მოუვიდათ. პოლიციამ ხალხი გაჰფანტა.

ბერგენი. ცუდის ამინდის გამო გემი „ჰოჰენცოლერნი“ დღეს მიდის სასნიცკის ტბისაკენ; ჰფიქრობენ, გემი სამშაბათს ემდენისაკენ წავა.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

ბაზრისა ვაჭრ. ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 12 ივლისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10	
ბერლინზე 100 მარკაში	$46{,}07^1/_2$	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	$46{,}27^1/_2$	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	97	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99	„
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$471^1/_2$	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357	მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$90^1/_8$	გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$89^1/_2$	მყიდვ.
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ა. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
კაკო წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
ამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ზინ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გმირის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).

ტელეფონი № 754. (·წ).

Дозв. ценз. Тифлисъ, 15 Іюля, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).